საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, ი. აბაშიძის გამზ. 26
ტელ: 228 91 68
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

26 Abashidze Avenue, 4600, Kutaisi, Georgia
Tel: 228 91 68
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 125

„19“ „ივნისი“ 2017 წ.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების გრიგოლ ლილუაშვილისა და მერაბ ქვარაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის (07-3/73, 14.06.2017) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების გრიგოლ ლილუაშვილისა და მერაბ ქვარაიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის (07-3/73, 14.06.2017) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი და აღნიშნავს შემდეგს:

წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტი კოდექსში სხვა ცვლილებებთან ერთად ითვალისწინებს ტერმინოლოგიურ ხასიათის ცვლილებასაც, კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის“ ნაცვლად (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და თვითმმართველ ერთეულთან მიმართებით) ხდება ერთიანი ტერმინის - მუნიციპალიტეტის დამკვიდრება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა დღეისათვის ითვალისწინებს „ადგილობრივი თვითმმართველობის“ ტერმინს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე თვითმმართველ ერთეულთან მიმართებაშიც, თუმცა სხვა კანონებში ცვლილებები არ ახლავს წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და

ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. ანალოგიურ მოთხოვნას აწესებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც კანონპროექტს უნდა დაერთოს კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს კანონპროექტის მიღება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში განიხილება „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე 173 კანონის პროექტი საქართველოს სხვადასხვა კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (07-2/479, 15.04.2016), რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობაში ერთიანი ტერმინის „მუნიციპალიტეტის“ დამკვიდრებას. აღნიშნული პაკეტი პარლამენტის მიერ მიღებულია პირველი მოსმენით. გარდა ამისა, პარლამენტის მიერ განიხილება ასევე ერთი საკანონმდებლო პაკეტი - „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონის პროექტები 07-2/86, 01.06.2017), რომელიც თავის მხრივ ნაწილობრივ ითვალისწინებს ამ ტერმინოლოგიურ ცვლილებას. ეს პაკეტიც მიღებულია პირველი მოსმენით და დაგეგმილია მისი განხილვის გაგრძელება უახლოეს პლენარულ სხდომებზე.

ერთი მხრივ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად, თუ კანონპროექტი იწვევს სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანას, მას უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით, მეორე მხრივ, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს მოუწევს იდენტური შინაარსის რამდენიმე ინიციატივის პარალელურად განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე იურიდიულ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს პარლამენტის ბიურომ იმსჯელოს ორგანული კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი